ალლაჰმა დაწყევლოს იუდეველები და ქრისტიანები! მათ თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავები მეჩეთებად გაიხადეს

აიშა, მორწმუნეთა დედა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამბობს: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი ავადმყოფობის დროს, რომლისგანაც აღარ გამოჯანმრთელებულა, თქვა: «ალლაჰმა დაწყევლოს იუდეველები და ქრისტიანები! მათ თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავები მეჩეთებად გაიხადეს» აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამბობს: "ეს რომ არ ყოფილიყო, მისი (მოციქულის) საფლავი ყველასთვის გამორჩეულ ადგილზე განთავსდებოდა, მაგრამ შეშინდნენ, რომ ისიც მეჩეთად არ ექციათ».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მორწმუნეთა დედა, აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვამცნობს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი მძიმე ავადმყოფობის დროს, რომელშიც გარდაიცვალა, თქვა: ალლაჰმა დაწყევლოს იუდეველები და ქრისტიანები და განაშოროს ისინი თავისი წყალობიდან! ეს იმიტომ, რომ მათ თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავები მეჩეთებად აქციეს – ანუ მათი საფლავების ზედაპირზე შენობებს აგებდნენ, მათთან ან მათკენ მიმართვით ლოცულობდნენ. შემდეგ აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამბობს: რომ არა ეს აკრძალვა და გაფრთხილება მოციქულის მხრიდან, და ასევე, თუ საჰაბებს არ ექნებოდათ შიში, რომ მის საფლავთან იგივენაირად მოიქცეოდნენ, როგორც იუდეველები და ქრისტიანები მოექცნენ თავიანთი წინასწარმეტყველების საფლავებს, მაშინ შუამავლის საფლავი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ყველასთვის გახსნილი და აშკარა იქნებოდა.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5379